# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

# დადგენილება №72

**2025 წლის 3 ივლისი**

**ქ. თბილისი**

**„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/02/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010210060.74.086.016001) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი 16-ით დამტკიცებული „საერთო სასამართლოებში ელექტრონული საქმისწარმოების ზოგადი წესის“ მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-6 პუნქტები:

„5. სავალდებულოა სამართალწარმოების ფარგლებში მხარეთაგან ან საქმესთან დაკავშირებულ სხვა სუბიექტთაგან წარდგენილი ყველა დოკუმენტის, აგრეთვე საპროცესო მოქმედების შედეგად შექმნილი დოკუმენტის/სამართლებრივი აქტის (ოქმი, განჩინება, გადაწყვეტილება, განკარგულება, ბრძანება და ა.შ.) შესაბამისი ელექტრონული ფორმატით ატვირთვა ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამაში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება საქმეებზე:

ა) რომელთა განხილვა მიმდინარეობს დახურულ სხდომებზე ან საიდუმლოების დაცვის სხვაგვარ რეჟიმში;

ბ) რომლებიც უკავშირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებს;

გ) რომლებიც უკავშირდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კარი $7^1$-ით („სასამართლოს მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაში“) გათვალისწინებულ საკითხებს.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი**
**საბჭოს მდივანი** **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**